სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფ.საქობოს

მაჟორიტარი დეპუტატის ნინო კოჭლამაზაშვილის

# ა ნ გ ა რ ი შ ი

01/11/2019 – 29/10/2020 წლამდე საანგარიშო პერიოდში

ჩატარებული მუშაობის შესახებ

საანგარიშო პეროდში ვესწრებოდი ყველა სესიას,საკრებულოს რიგგარეშე სხდომებს, შეხვედრებს.აქტიურად ვმონაწილეობდი პრობლემური საკითხების გადაწყვეტაში, ვაფიქსირებდი ჩემს შეხედულებებს, შენიშვნებს ამა თუ იმ საკითხის მიმართ.ასევე აქტიურად ვმონაწილეობდი კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალური კომისიის ყველა სხდომის მუშაობაში. ვხვდებოდი სოფ.საქობოს მოსახლეობას, მათთან ერთად განვიხილავდი სოფელში არსებულ პრობლემებს, მათთან ერთად ვსახავდით პრიორიტეტებს. ვეხმარებოდი გაჭირვებულ ადამიანებს სოციალური დახმარებით,შესაბამისი პროგრამის ფარგლებში. სოფელში მოუგვარებელ პრობლემებს ვაცნობდი მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს.

საქობოში,საანგარიშო პერიოდში მოეწყო სამი დამატებითი ჭაბურღილი, ორი სკვერი.

სოფ.მაშნაარში მიმდინარეობს სკვერის მოწყობა, ასევე სოფ.მაშნაარში შენდება ახალი სტანდარტების შესაბამისი სკოლა,რომლის მშენებლობაც დამთავრდება მიმდინარე წელს.

სოფ.საქობოში მოხდა ასფალტის საფარის დაგება თამარ მეფის ქუჩაზე, სოფლის სტადიონთან მოეწყო გარე განათება, ასევე მოხდა სოფლის შიდა გზების და ვენახებთან მისასვლელი გზების გასუფთავება, აღდგენა, მოწესრიგება, მოხრეშვა.

სოფელ საქობოს მაჟორიტარი დეპუტატი / ნ.კოჭლამაზაშვილი /

29/10/2020 წელი